

შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი

დამტკიცებულია

ბრძ. № 01-01/109 “ 31 “ დეკემბერი 2018წელი

ბიზნეს პროცესების უწყვეტობის გეგმა

2019-2025

თბილისი

2018

მუხლი 1. ზოგადი დებულებები.

ბიზნეს პროცესების უწყვეტობის გეგმა განსაზღვრავს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში გთუნი) უსაფრთხო ფუნქციონირების რეჟიმს, მოსალოდნელი რისკების დადგომის შემთხვევაში.

მუხლი 2. ბიზნეს პროცესების უწყვეტობის გეგმა.

1. გთუნის ბიზნეს პროცესების უწყვეტობის გეგმა არის იმ ღონისძიებების ერთობლიობა, რომლებმაც, რისკების რეალიზაციის შემთხვევაში, უნდა უზრუნველყოს უსაფრთხო გარემო და საქმიანობის აუცილებელი პირობები.
2. ბიზნეს პროცესების უწყვეტობა უნივერსიტეტში გულისხმობს რისკების გამოვლენის და მართვის ისეთი თანმიმდევრული და დაბალანსებული სისტემის არსებობას, რომელსაც შეუძლია როგორც რისკების პრევენცია, ასევე, მათი რეალიზაციის პირობებში, დანაკარგებისა და ფინანსური ზარალის მინიმიზაცია.

მუხლი 3. რისკის არსი და მისი კლასიფიკაცია

1. რისკი არის შესაძლო ზიანის მომტანი მოვლენა, რომელიც დაკავშირებულია ბუნების სტიქიურ ან უნივერსიტეტის თანამშრომელთა და სტუდენტთა ირაციონალურ ქმედებებთან, რომლის შედეგადაც დაზიანდა ან განადგურდა უნივერსიტეტის ქონება, გაუარესდა თანამშრომელთა და სტუდენტთა ჯანმრთელობა, ზიანი მიადგა ეკოლოგიურ გარემოს და ა.შ .
2. გთუნიში რისკების იმანენტური ბუნება განპირობებულია მათთვის დამახასიათებელი ნიშნებით და, წარმოშობის ხასიათიდან გამომდინარე, კლასიფიცირდება შემდეგნაირად:
 - ბუნებრივი რისკები(წყალდიდობა, მიწისძვრა, ქარიშხალი; სეტყვა და სხვა);
 - ბიზნესის ფუნქციონალური, ბუნებრივი (ნგრევა, ხანძარი, უბედური შემთხვევა, გარემოს დაზინძურება, ეკოლოგიური პირობები და სხვა) და ტექნიკური (საკომუნიკაციო ქსელების, მონაცემთა შენახვის და აღდგენის, პროგრამულ სისტემების, ქსელების ნორმალური ფუნქციონირების რეჟიმის დარღვევა, ვირუსული და ხაკერული შეტევები და სხვა) (იხ. დანართი 1);
 - სამეწარმეო და საფინანსო საქმიანობასთან დაკავშირებული რისკები (გაკოტრება, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობა, ფინანსური პრობლემების გამო უნივერსიტეტში ბიზნეს პროცესების უწყვეტობის გაუთვალისწინებელი შეჩერება და სხვა.);
 - სამოქალაქო პასუხისმგებლობის რისკები, რომლებიც დაკავშირებულია მესამე პირისათვის, როგორც იურიდიული, ისე ფიზიკური პირებისთვის მიყენებული ზარალის ანაზღაურების პასუხისმგებლობასთან.
3. რისკი არის ის პოტენციური ზიანი, რომელიც შეიძლება მიადგეს უნივერსიტეტს ამ რისკის რეალიზაციის პროცესში. ის ხასიათდება ოთხი ძირითადი მახასიათებლით:
 - ობიექტი - უნივერსიტეტი - რისკის მატარებელი;

- დროის შუალედი;
 - ზიანის გამომწვევი ხიფათი;
 - ზიანის სახეობა.
4. გთუნში რისკების დაჯგუფება და მათი პრიორიტეტულობის განსაზღვრა დამოკიდებულია არა მარტო რისკების განხორციელების (ანუ ზიანის რეალურად მიყენების) სიხშირესა და შედეგების სიმძიმეზე, არამედ გავლენის ფაქტორებზეც (შენობის სეისმომდეგობა, კომუნიკაციების, ელექტრო, გათბობის და კანალიზაციის სისტემების გამართულობა, საინფორმაციო-ტექნოლოგიური სისტემის მოწესრიგებულობა და სხვა).

მუხლი 4. რისკების მართვა

1. უნივერსიტეტში რისკების მართვა ხორციელდება იმ მეთოდების, მექანიზმების და ინსტრუმენტების გამოყენებით, რომლებიც მიმართულია რისკების შემცირებაზე.
2. უნივერსიტეტში ბიზნესს პროცესების უწყვეტობის მიზანია რისკების მართვის პროცესის ფორმალიზება ანუ სპეციალური პროგრამის შემუშავება და პრაქტიკაში დანერგვა, რომლის მეშვეობითაც მოხდება მათი კონტროლი და მონიტორინგი.
3. უნივერსიტეტში რისკების მართვა ოთხ ეტაპს გულისხმობს:
 - რისკების გამოვლენა და მათი მაქსიმალურად სრულად იდენტიფიცირება;
 - იდენტიფიცირებული რისკების გაანალიზება და შეფასება;
 - რისკების მართვის სტრატეგიის შერჩევა;
 - რისკების მართვის კონტროლის და მონიტორინგის პრაქტიკული განხორციელება.

მუხლი 5. რისკების მართვის ინსტრუმენტები.

1. გთუნში ბიზნესს პროცესების უწყვეტობის გეგმა განიხილავს რისკებზე ზემოქმედების ორ ჯგუფს ე. წ. „ფიზიკური“ და „ფინანსური“ მართვის ინსტრუმენტებს:
 - ფიზიკური მართვის ინსტრუმენტებია: ყველანაირი უსაფრთხოების წესების შემოღება და დაცვა, ხანძარსაწინააღმდეგო პირობების შექმნა, შენობის კონსტრუქციის გამაგრება, სახიფათო მარშუტების მინიმალიზაცია და სხვა.
 - ფინანსური ინსტრუმენტები არ ცვლის არც ზიანის დადგომის და არც სიმძიმის ალბათობას, მაგრამ ამცირებს ან სრულიად აცილებს გთუნის ხსენებული მოვლენების შედეგად მიღებულ ფინანსურ ზარალს.

2. დაზღვევა, როგორც რისკის მართვის ფინანსური ინსტრუმენტი.
 გთუნისათვის პოტენციური სადაზღვევო შემთხვევაა ხანძარი, აფეთქება, მეხის დაცემა, საფრენი აპარატის ან მისი ნაწილის ჩამოვარდნა დაზღვეულ ობიექტზე და სხვა.
 - ხანძარი – ღია ცეცხლი, რომელიც დამოუკიდებლად ვრცელდება მას შემდეგ, რაც გაჩნდა, ცეცხლისათვის განკუთვნილი ადგილიდან, განსხვავებულ ადგილას ან თვითნებურად გასცდა ამ ადგილს;
 - აფეთქება – აირის ან ორთქლის წნევის ძალის უეცარი დამანგრეველი გამოვლინება, არამდგრადი სისტემის სწრაფი ქიმიური რეაქცია, რასაც მოყვება ობიექტის გარე კედლების რღვევა/დაშლა. რეზერვუარის (საქვების, მილსადენის და ა.შ) აფეთქებად ითვლება მოვლენა, რომლის დროსაც რეზერვუარის კედლები აღმოჩნდება იმდენად დაზიანებული, რომ გამოიწვევს შიდა და გარე წნევის გათანაბრებას. თუ აფეთქება მოხდება რეზერვუარის შიგნით, სწრაფი ქიმიური რეაქციის გამო, ზარალი ანაზღაურდება რეზერვუარის კედლების დაურღვევლობის შემთხვევაში;
 - სტიქიური უბედურებები – მიწისძვრა, ქარიშხალი, გრიგალი, სეტყვა, შტორმი, წყალდიდობა, უხვთოვლიანობა, კოკისპირული წვიმა;
 - წყლით დაზიანება - წყალსადენების, გასათბობი, ხანძარსაწინააღმდეგო, საკანალიზაციო სისტემების უეცრად მწყობრიდან გამოსვლა; წყლის შემოჭრა მეზობელი სადგომებიდან, მიწისქვეშა წყლების გამოსვლა;
 - მესამე პირების მიერ მიყენებული ზარალი – ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა, მესამე პირების მართლსაწინააღმდეგო ქმედება. ამ პირობებით, დაზღვევა ფარავს დაზღვეულ შენობა-ნაგებობაში მხოლოდ ძალადობით და ძალისმიერი მეთოდებით შეღწევას, როდესაც შესვლის ადგილზე არსებობს ამგვარი, აშკარა ნიშნები და ამ ქმედების შემდეგ დაკარგულია ან დაზიანებულია დაზღვეული ობიექტები.

მუხლი 6. რისკის გარემოს შეფასება.

1. რისკის გარემოს შეფასება უნივერსიტეტში ითვალისწინებს შემდეგ ძირითად მოთხოვნებს:
 - მართვის პროცესი არ უნდა იყოს რთული;
 - არ უნდა ვიფიქროთ რისკების შეფასების ზუსტი მექანიზმის შემუშავებაზე, რადგან ასეთი არ არსებობს;
 - რისკები უნდა ემორჩილებოდეს თანამშრომელთა კომპეტენციას, ვისაც მათი მართვა ევალება;
 - რისკების მართვა მოითხოვს პასუხისმგებლობას და ანგარიშვალდებულებას.
2. რისკების გამოსავლენად უნივერსიტეტს შეუძლია რიგი საერთო ხასიათის მეთოდების გამოყენება:
 - სტრუქტურული მიდგომა;

- ექსპერტების მოწვევა;
 - წინა მარცხის ანალიზი;
 - მაკონტროლებელი კითხვარი;
 - რისკის პოტენციური წყაროს ანალიზი.
3. რისკების გარემოს სწორად შესაფასებლად აუცილებელია განისაზღვროს მიდრეკილება რისკებისადმი. მისაღები და მიუღებელი რისკების საზღვრების დადგენა არის რისკების მიდრეკილების დადგენა.

ძირითადი ამოცანებია:

- პრიორიტეტული რისკების გამოვლენა;
- უნივერსიტეტის თითოეული თანამშრომლის მიერ იმის გაგება, თუ რომელი რისკი უნდა მიიღოს და როგორ მართოს;
- რისკის კულტურის დამკვიდრება.

მუხლი 7. რისკის შეფასების ეტაპები

1. გთუნიაში რისკის შეფასების ეტაპი ორი საფეხურისაგან შედგება:
 - ინფორმაციის შეკრება;
 - საფრთხეების ან ინციდენტების გამოვლენა.
2. აღნიშნული საქმიანობის უკეთ წარმართვისათვის უნივერსიტეტში იქმნება ბიზნეს პროცესების უწყვეტობის გამსაზღვრელი სამუშაო ჯგუფი, რომელიც რისკების ხარისხობრივი და რაოდენობრივი შეფასების მიზნით, აგროვებს სტატისტიკურ და ფინანსურ ინფორმაციას, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, ახდენს საფრთხის განლაგების უშუალო ინსპექტირებას.

მუხლი 8. ბიზნეს უწყვეტობის დაგეგმვა

ბიზნეს უწყვეტობის დაგეგმვა არის დინამიური პროცესი, რომელიც იძლევა გარემოებების ცვლილებებისა და/ან რისკებისადმი ადაპტაციის საშუალებას და უზრუნველყოფს უსაფრთხოების შემდგომ განვითარებას.

გთუნის ბიზნეს უწყვეტობის გეგმა ემსახურება, პირველ რიგში, ადამიანების უსაფრთხოებას. შემდგომ ეტაპზე კი - შენობა/ნაგებობების დაცვას და შესაბამისი გამაგრებითი ღონისძიებების გატარებას და ბოლოს, ორგანიზაციის ინფრასტრუქტურის და კრიტიკული ბიზნეს პროცესების დაცვას, რაც უზრუნველყოფს სწავლა/სწავლების პროცესის წარმართვასა და საინფორმაციო სისტემების შეუფერხებელ რეჟიმში მუშაობას. ბიზნეს უწყვეტობის მართვის ეფექტური განხორციელების მიზნით, რექტორის სამართლებრივი აქტით, შექმნილია საგანგებო შტაბი, რომლითაც განსაზღვრულია შტაბის შემადგენლობა, მათი უფლება-მოვალეობები, ინსტრუქციები და სხვადასხვა სიტუაციებში მოქმედების გეგმები. აღნიშნულიდან გამომდინარე

ბიზნეს უწყვეტობის უზრუნველსაყოფად შექმნილია საგანგებო სიტუაციების შტაბი/მართვის გუნდი შემდეგი შემადგენლობით:

1. საგანგებო შტაბის უფროსი - რექტორი, პროფესორი გიორგი მათიაშვილი;
2. საგანგებო შტაბის უფროსის მოადგილე ევაკუაციის საკითხებში - ფინანსური დირექტორი ავთანდილ ჯინჭარაძე;
3. საგანგებო შტაბის უფროსის მოადგილე მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების დარგში - სამეურნეო განყოფილების უფროსი გიორგი ჩიხრაძე;
4. საგანგებო შტაბის უფროსის თანაშემწე კავშირგაბმულობისა და შეტყობინებების საკითხებში - ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი შოთა კაპანაძე;
5. სახანძრო-სამაშველო ჯგუფის უფროსი - დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის უფროსი გიორგი სიხუაშვილი;
6. საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამართულ მუშაობაზე და დამუშავებული ინფორმაციის დაცულობაზე პასუხისმგებელი პირი - ინფორმაციული სისტემების მართვის სამსახურის უფროსი, პროფესორი თალიკო ჟვანია.

ბიზნეს უწყვეტობის მართვის გუნდი იკრიბება სემესტრში მინიმუმ ერთხელ ბიზნეს უწყვეტობის გეგმის განსახილველად და შესაბამისი ცვლილებების შესატანად.

ბიზნეს უწყვეტობის გეგმა ინახება როგორც ელექტრონული, ასევე ამობეჭდილი დოკუმენტის სახით.

ბიზნეს უწყვეტობის შემუშავებული გეგმა განიხილება და მტკიცდება საგანგებო სიტუაციების შტაბის უფროსის გადაწყვეტილებით.

ბიზნეს უწყვეტობის გეგმა

რისკების კატეგორია: ბუნებრივი კატაკლიზმები

რისკი	ალბათობა (მაღალი, საშუალო, დაბალი)	ზეგავლენა (მცირე, საშუალო, მასშტაბური)	პრევენციული ქმედება	მოცდენის პერიოდი	პასუხისმგებელი ერთეული/პირი	ქმედება	შეფასება
მიწისძვრა	საშუალო	მასშტაბური	უზრუნველყოფილია შენობის სეისმომედეგობა	5 დღე	დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური	ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობა	რექტორი, დაცვისა და უსაფრთხოების, საფინანსო-საბიუჯეტო და სამეურნეო სამსახურები, სამედიცინო კაბინეტი
მეწყერი	დაბალი	მცირე	<ul style="list-style-type: none"> საევაკუაციო გეგმის შესაბამისად სტუდენტებისა და პერსონალის უსაფრთხო ადგილებში დაუყოვნებლივ გაყვანა; სამუშაოების ორგანიზებისათვის დახმარების მიზნით, ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების შესაბამისი სტრუქტურებისათვის მიმართვა. 	3 დღე	დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური	ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობა	რექტორი, დაცვისა და უსაფრთხოების, საფინანსო-საბიუჯეტო და სამეურნეო სამსახურები, სამედიცინო კაბინეტი

ხანძარი	საშუალო	მასშტაბური	<ul style="list-style-type: none"> • სახანძრო უსაფრთხოების ნორმების დაცვა; • ქსელური და სერვერული ინფრასტრუქტურის მაღალი ტემპერატურისაგან და ცეცხლისაგან დაცვის მიზნით, ხდება სათავსოების ხანძარსაწინააღმდეგო სისტემით აღჭურვა; • საევაკუაციო გეგმის შესაბამისად სტუდენტებისა და პერსონალის უსაფრთხო ადგილებში დაუყოვნებლივ გაყვანა; • სამუშაოების ორგანიზებისათვის დახმარების მიზნით, ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების შესაბამისი სტრუქტურებისათვის მიმართვა. 	3 დღე	დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური	ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობა	რექტორი, დაცვისა და უსაფრთხოების, საფინანსო-საბიუჯეტო და სამეურნეო სამსახურები, სამედიცინო კაბინეტი
წყალდიდობა, ღვარცოფი	საშუალო	საშუალო	<ul style="list-style-type: none"> • საევაკუაციო გეგმის შესაბამისად სტუდენტებისა და პერსონალის უსაფრთხო ადგილებში დაუყოვნებლივ გაყვანა; 	2 დღე	დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური	ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობა	რექტორი, დაცვისა და უსაფრთხოების, საფინანსო-საბიუჯეტო და სამეურნეო

			<ul style="list-style-type: none"> სამუშაოების ორგანიზებისათვის დახმარების მიზნით, ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების შესაბამისი სტრუქტურებისათვის მიმართვა. 				სამსახურები, სამედიცინო კაბინეტი
ქარიშხალი	საშუალო	მცირე	<ul style="list-style-type: none"> საევაკუაციო გეგმის შესაბამისად სტუდენტებისა და პერსონალის უსაფრთხო ადგილებში დაუყოვნებლივ გაყვანა; სამუშაოების ორგანიზებისათვის დახმარების მიზნით, ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების შესაბამისი სტრუქტურებისათვის მიმართვა. 	2 დღე	დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური	ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობა	რექტორი, დაცვისა და უსაფრთხოების, საფინანსო-საბიუჯეტო და სამეურნეო სამსახურები, სამედიცინო კაბინეტი

რისკის კატეგორია: ტექნოლოგიური

რისკი	ალბათობა (მაღალი, საშუალო, დაბალი)	ზეგავლენა (მცირე, საშუალო, მასშტაბური)	პრევენციული ქმედება	მოცდენის პერიოდი	პასუხისმგებელი ერთეული/ პირი	ქმედება	შეფასება
კიბერ. შეტევა (ინფორმაციული ინფრასტრუქტურის ჰაკერული ან ვირუსული შეტევები)	საშუალო	მასშტაბური	ანტივირუსული ყოველთვიური შემოწმება;		ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახური	სათადარიგო სერვერებზე ხელმისაწვდომობა	ინფორმაციული სისტემების მართვის სამსახური
ინტერნეტ მომსახურების შეწყვეტა	საშუალო	საშუალო	უსადენო ინტერნეტით სარგებლობა ან მომსახურების შესყიდვა. ალტერნატიული ინტერნეტ - სერვისების მომწოდებლისაგან	24 საათი	ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახური	ინტერნეტის სერვისის ხელმისაწვდომობა	ინფორმაციული სისტემების მართვის სამსახური
სატელეფონო მომსახურების შეწყვეტა	საშუალო	საშუალო	ალტერნატიული წყაროების მოძიება	24 საათი	ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახური	სატელეფონო სერვისის ხელმისაწვდომობა	ინფორმაციული სისტემების მართვის სამსახური

რისკის კატეგორია: ოპერაციული

რისკი	ალბათობა (მაღალი, საშუალო, დაბალი)	ზეგავლენა (მცირე, საშუალო, მასშტაბური)	პრევენციული ქმედება	მოცდენის პერიოდი	პასუხისმგებელი ერთეული/ პირი	ქმედება	შეფასება
ინფრასტრუქტურის მიზნობრივი დაზიანება: შენობის დაზიანება	დაბალი	მაღალი	დაზიანების ხარისხისა და პერიოდულობის გათვალისწინებით	დაზიანების მასშტაბების გათვალისწინებით	დაცვისა და უსაფრთხოების, საფინანსო-საბიუჯეტო, სამეურნეო სამსახურები, სამედიცინო კაბინეტი	ადმინისტრაციული შენობის ხელმისაწვდომობა	ფინანსური დირექტორი
აღჭურვილობების, მარაგების დაკარგვა/განადგურება	დაბალი	საშუალო	ყოველთვიური შემოწმება	1 დღე	დაცვისა და უსაფრთხოების, საფინანსო-საბიუჯეტო, სამეურნეო სამსახურები	აღჭურვილობების, მარაგების ხელმისაწვდომობა	ფინანსური დირექტორი
მოდრავი ნივთის დაკარგვა/განადგურება	დაბალი	საშუალო	ყოველთვიური შემოწმება	1 დღე	დაცვისა და უსაფრთხოების, საფინანსო-საბიუჯეტო,	სასწავლო ინვენტარის ხელმისაწვდომობა	ფინანსური დირექტორი

					სამეურნეო სამსახურები		
დასაქმებულთა გადინების მაღალი პროცენტი (გათავისუფლების, შრომითი ურთიერთობების შეჩერების, გაუთვალისწინებელი შემთხვევის გამო)							
აკადემიური პერსონალი	დაბალი	მაღალი	სამუშაო პირობებთან დაკავშირებულ პრობლემებზე სწრაფი რეაგირება	5 სამუშაო დღე	რექტორი	დროებითი ჩანაცვლება, ვაკანსიის გამოცხადება	რექტორი
მოწვეული პერსონალი	დაბალი	საშუალო	სამუშაო პირობებთან დაკავშირებულ პრობლემებზე სწრაფი რეაგირება	5 სამუშაო დღე	რექტორი	დროებითი ჩანაცვლება, ვაკანსიის გამოცხადება	რექტორი
ადმინისტრაციული პერსონალი	დაბალი	მაღალი	წახალისება, შექება და დაწინაურება, სამუშაო პირობებთან დაკავშირებულ პრობლემებზე სწრაფი რეაგირება, ანაზღაურებადი უქმე დღეები, ინდივიდუალური, მოქნილი სამუშაო გრაფიკი	2 კვირა	რექტორი	დროებითი ჩანაცვლება, ვაკანსიის გამოცხადება	რექტორი
დამხმარე პერსონალი	დაბალი	საშუალო	შექება და დაწინაურება, სამუშაო პირობებთან დაკავშირებულ პრობლემებზე სწრაფი რეაგირება, ანაზღაურებადი უქმე	10 დღე	რექტორი	დროებითი ჩანაცვლება, ვაკანსიის გამოცხადება	რექტორი

			დღეები, ინდივიდუალური, მოქნილი სამუშაო გრაფიკი				
კომუნალური მომსახურებების შეწყვეტა (ელექტროენერგია, გათბობა, წყალი)							
ელექტროენერგია	დაბალი	საშუალო	<ul style="list-style-type: none"> • ავტონომიური ელექტროგენერაციის სისტემით სარეზერვო ენერგო მომარაგება; • სასწავლებლის ტერიტორიაზე ელექტროენერგიის სადენების პერიოდული შემოწმება; • ქსელური და სერვერული ინფრასტრუქტურის დაცვა მაღალი ძაბვისგან დამცავი და უწყვეტი ენერგომომარაგების შექმნილი, დამუშავებული და გამოყენებადი ინფორმაციის სარეზერვო ასლების შენახვა და განთავსებული ინფორმაციის, სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე შესაბამისი კომპანიის მხრიდან, დაცულობის მექანიზმების არსებობა. 	1 -5 დღე	ინფორმაციული სისტემების მართვის და ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურები	ელექტრო-ენერგიით უზრუნველყოფა (სათადარიგო გენერატორი)	ფინანსური დირექტორი

გათბობა	დაბალი	საშუალო	გათბობის სისტემის ყოველწლიური შემოწმება ჩამკვეთ/გამშვები მოწყობილობით აღჭურვა	1 დღე	სამეურნეო და დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურები	გათბობით უზრუნველყოფა	ფინანსური დირექტორი
წყალი	დაბალი	საშუალო	წყალგაყვანილობის მილების შემოწმება საჭიროებისამებრ ჩამკვეთ/გამშვები მოწყობილობით აღჭურვა	1 კვირა	სამეურნეო და დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურები	წყლით უზრუნველყოფა	ფინანსური დირექტორი

რისკის კატეგორია: ფინანსური და სამართლებრივი

რისკი	ალბათობა (მაღალი, საშუალო, დაბალი)	ზეგავლენა (მცირე, საშუალო, მასშტაბური)	პრევენციული ქმედება	მოცდენის პერიოდი	პასუხისმგებელი ერთეული/ პირი	ქმედება	შეფასება
-------	------------------------------------	--	---------------------	------------------	------------------------------	---------	----------

შემოსავლების კლება

სწავლის გადასახადის ნაკლებობა	საშუალო	მაღალი	გადახდის პროცედურის მუდმივი მონიტორინგი	1 თვე	საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური	დამატებითი რესურსების მოძიება	ფინანსური დირექტორი
გრანტების/დაფინანსებების ნაკლებობა	საშუალო	საშუალო	შემოსავლების გაზრდა	1 წელი	საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური	დამატებითი რესურსების მოძიება	ფინანსური დირექტორი
გადასახადები	დაბალი	მაღალი	მოქნილი, ეფექტური მექანიზმების გამოყენება	1 კვირა	საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური	დამატებითი რესურსების მოძიება	ფინანსური დირექტორი

ჯარიმები და პირგასამტეხლოები							
ადმინისტრაციული	დაბალი	მაღალი	შესრულებულ სამუშაოებზე კონტროლის გაძლიერება	3 დღე	იურისტი	დამატებითი რესურსების მოძიება	ფინანსური დირექტორი
საგადასახადო ჯარიმები	დაბალი	მაღალი	აუდიტორიებთან კონსულტაცია	8 თვე	იურისტი	დამატებითი რესურსების მოძიება	ფინანსური დირექტორი
სხვა	დაბალი	მაღალი		5 თვე	იურისტი	დამატებითი რესურსების მოძიება	ფინანსური დირექტორი
სამართლებრივი დავები	საშუალო	მაღალი	ვალდებულების დროულად, ჯეროვნად შესრულება	რამდენიმე კვირა	იურისტი	შესაბამისად მოქმედება	ფინანსური დირექტორი
ხელშეკრულებების დარღვევა							
ტექნიკური მომსახურება	დაბალი	მაღალი	მუდმივი კომუნიკაცია	3 თვე	იურისტი	დამატებითი რესურსების მოძიება	ფინანსური დირექტორი
საგანმანათლებლო მომსახურება	დაბალი	მაღალი	მუდმივი კომუნიკაცია	2 კვირა	იურისტი	დამატებითი რესურსების მოძიება	რექტორი

რისკის კატეგორია: სტრატეგიული							
რისკი	ალბათობა (მაღალი, საშუალო, დაბალი)	ზეგავლენა (მცირე, საშუალო, მასშტაბური)	პრევენციული ქმედება	მოცდენის პერიოდი	პასუხისმგებელი ერთეული/ პირი	ქმედება	შეფასება
ავტორიზაცია/აკრედიტაციის დაკარგვა							
აკრედიტაცია	დაბალი	მაღალი	სტანდარტებთან შესაბამისობა	1 წელი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, პროგრამის ხელმძღვანელი, დეკანი	სტუდენტების მობილობის წესით გადასვლა, პროგრამის განახლება	რექტორი
ავტორიზაცია	დაბალი	მაღალი	სტანდარტებთან შესაბამისობა	1 წელი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, პროგრამის ხელმძღვანელი, დეკანი	სტუდენტების მობილობის წესით გადასვლა, ავტორიზაციის თვის განაცხადის შეტანა	რექტორი

დანართი 1

<ul style="list-style-type: none"> ▪ მიწისძვრა; ▪ მეწყერი; ▪ ხანძარი; ▪ წყალდიდობა, ღვარცოფი; ▪ ქარიშხალი; ▪ სხვა სახის ტექნოგენური და ბუნებრივი კატაკლიზმები 	<ul style="list-style-type: none"> ▪ კიბერ. შეტევა (ინფორმაციული ინფრასტრუქტურის ჰაკერული ან ვირუსული შეტევები); ▪ სატელეფონო და ინტერნეტ სერვისების შეწყვეტა; ▪ სერვისებსა და სისტემებში დამუშავებული ინფორმაციის დაცულობა 	<ul style="list-style-type: none"> ▪ ინფრასტრუქტურის მიზნობრივი დაზიანება: შენობის დაზიანება, აღჭურვილობების, მარაგების, მოძრავი ნივთის დაკარგვა/განადგურება; ▪ დასაქმებულთა გადინების მაღალი პროცენტი (გათავისუფლების, შრომითი ურთიერთობების შეჩერების, გაუთვალისწინებელი შემთხვევის გამო); ▪ კომუნალური მომსახურებების შეწყვეტა (ელექტროენერგია, გათბობა, წყალი) 	<ul style="list-style-type: none"> ▪ შემოსავლების კლება; ▪ გადასახადები; ▪ ჯარიმები და პირგასამტეხლოები; ▪ სამართლებრივი დავები; ▪ საიჯარო ხელშეკრულებების დარღვევა 	<ul style="list-style-type: none"> ▪ ავტორიზაცია/აკრედიტაციის დაკარგვა
---	--	---	--	---